ოქმი:**ო37. 3723276001**
თარიღი:**03/10/2023**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის გ.ჩავლეშვილის

ანგარიშის მოსმენის სხდომის ოქმი

2023 წელი,2 ოქტომბერი
საკრებულოს სხდომათა დარბაზი
11.00 საათი

თავმჯდომარეობდა: ლავრენტი ბიგვავა-მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

ესწრებოდნენ : საკრებულოს წევრის ამომრჩევლები, კოლეგები.

საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი პირები.

ანგარიშის მოსმენის დაწყებამდე სხდომის თავმჯდომარე ლ ბიგვავა მიესალმა დამსწრეთ, ამომრჩევლებს - აღნიშნა, რომ მიმდინარეობს საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო ეტაპი-საკრებულოს წევრების მიერ წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის ანგარიშის ჩაბარება. განაცხადა, რომ საკრებულოს წევრების მიერ ანგარიშის ჩაბარების პროცესს იწყებს ბატონი გელა ჩავლეშვილი

საკრებულოს წევრმა გ.ჩავლშვილმა საკრებულოს რეგლამენტის 131 -ე მუხლის შესაბამისად წარმოადგინა მის მიერ საანგარიშო პერიოდში როგორც საკრებულოს, ფრაქციასა და კომისიებში, ამომრჩევლებთან, მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებთან ერთობლივად გაწეული მუშაობის ანგარიში.განსაკუთრებულად გამოყო ორი საკითხი,რომელიც წარდგენილი იქნა ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე და გადაგზავნილი იქნა მუნიციპალიტეტის მერიაში რეკომენდაციების სახით.

გ. ჩვლეშვილს აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსთან თანამშრომლობის შედეგად“ოზურგეთის საკრებულოს საფინანსო- საბიუჯეტო კომისიის 2023-2025 წლების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის“ შემუშავებასა და მიღებაში.(N55 განკარგულება)

ისაუბრა საანგარიშო პერიოდში ამომრჩევლების მიერ დაყენებული პრობლემების გადაწყვეტის მიზნით გაწეულ საქმიანობაზე.

ამომრჩევლებმაც და კოლეგებმაც მაღალი შეფასება მისცეს წარმოდგენილ

ანგარიშს. საკრებულოს წევრების ტ.აროშიძისა და ხომერიკის მიერ გელა ჩავლეშვილის საქმიანობა შეფასებულია დადებითად და უსურვეს მას წარმატებები მომავალ საქმიანობაში.ამომრჩეველმა ეკა ღლონტმა აღნიშნა,რომ მათი რჩეული დეპუტატი გ. ჩავლეშვილი არის ამომრჩევლების გვერდში მდგომი და ის არ იმსახურებს შენიშვნებს ამომრჩევლების მხრიდან. აღნიშნეს,რომ ის პროფესიონალურად უდგება ყოველ პრობლემას, კოლეგიურად, ურთიერთთანამშრომლობით აგვარებს პრობლემატურ საკითხებს, წარმატებები უსურვეს მომავალ საქმიანობაში.

გამოთქმულ შეფასებებს დაეთანხმა სხდომის თავმჯდომარე ლ.ბიგვავა და აღნიშნა, რომ ანგარიში სრულად პასუხობს რეგლამენტის მოთხოვნებს, უსურვა წარმატებები მომავალ მუშაობაში.

ამომრჩევლების და დამსწრეთა საერთო აზრით, სხდომის თავმჯდომარის ლ. ბიგვავას წინადადებით, საკრებულოს წევრის ანგარიში შეფასდა დამაკმაყოფილებლად.

ლავრენტი ბიგვავა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი